საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და საქართველოს ვკპ(ბ) ცკ-ის ორგანო

კომუნისტი

სას. ა. ა. (რ) სსრ-ის და ცკ. კომპარტიების და სამ. საქმის ორგანო

ტელეფონები: სრედ-ტორის—14—76, რედ. მოადგილის 23—12, განყოფილებათა 10—52, მდ. კანტორის—8—24

ორშაბათი. 23 აპრილი 1934 წ. № 95 (3951)

პროლეტარულ დღესასწაულს—1 მაისს შეეხვდეთ

სესხის კამპანიის მაღალხარისხოვანი მაჩვენებლებით

დიდი ეპოქის დიდი ხელოვნებისათვის

შემოქმედებითი ენტუზიაზმის უდიდესი აზვირთება გამოიწვია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკა-ს ლიტერატურული კომიტეტის ისტორიულმა დაგენილებამ ლიტერატურულ ორგანიზაციათა შეშაობის გარდაქმნის შესახებ. 23 აპრილი წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან თარიღს საბჭოთა ხელოვნების კერძოთ მხატვრული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

პროლეტარიატის დიქტატურის პირობები, სოციალიზმის შენებლობის პერიოდი უსაზღვრო გასაქანს აძლევს მხატვრულ ლიტერატურას, დრამატურგიას, მუსიკას, სახვითი ხელოვნებას, ხუროთმოძღვრებას, მოკლეთ—ხელოვნების ყველა დარგს, რომელიც ხმამაღალი კლასის ინტერესებს ემსახურება. ხელოვნების ძლიერი აღორძინება—განვითარება შესაძლებელია და აუცილებელი იქ, სადაც ხელოვნების არმია კვალდაკვალ მისდევს ისტორიის პროგრესიულ მსვლელობას, ესმის ეპოქის „ფილოსოფია“, სწამს მშრომელი ჯაკობრიობის ბრწყინვალე მომავალი.

დიდი ეპოქის დიდი ხელოვნება შეუძლებელია, თუ ხელოვნება არ გაიმსჭვალა იმ ეპოქის გაბატონებული იდეებით. გაბატონებული კლასის იდეოლოგია არის საზოგადოების გაბატონებული იდეოლოგია. სოციალიზმის მეცნიერული თეორია—აი იდეა, რომელიც განაგებს შრომელთა მილიონების გრძნობა—გონებას მთელ მსოფლიოში და რომელიც პრაქტიკულად ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში. ხელოვნება, ამსახველი ამ იდეის, დიადია და უძლეველი.

პირველ ხუთწლედის ბრწყინვალე გამარჯვებამ აგვიყვანა ისტორიულ უღელტეხილზე, საიდანაც ნათლად მოსჩანს „აღთქმის ქვეყანა“. საკითხი „ვინ-ვის“ ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ გადაწყდა სოციალიზმის სასარგებლოდ. კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია უკვე მოხდა ძირითადად. გაგანტურად გაიზარდა სოციალისტური ინდუსტრია, სოციალიზმის გზაზე დამკვიდრდა სოფლის მეურნეობა. ამასთან ერთად, ბუნებრივია, ღრმად განვითარდა „გონებრივი წარმოება“—მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, სოციალიზმის პერიოდის მთელი კულტურა.

კლასობრივ ძალთა მიმართების ძირეულმა შეცვლამ პირველი ხუთწლედის გამარჯვებით გამოიწვია საგრძნობი ძვრები მთელ იდეოლოგიურ სფეროში, კერძოთ—ხელოვნებაშიც. ხელოვნების ფრონტი გაიზარდა, შინაარსით გამახვილდა, ხელოვნებამ არსებითად პირი იბრუნა თანამედროვეობის ისტორიულ ამოცანებისაკენ, მაგრამ მოზრუნების პროცესი არ იყო ფართოდ გაშლილი. „მუხრუჭს“ წარმოადგენდა სწორედ ორგანიზაციული მუშაობისა და ხელმძღვანელობის ძველი ფორმები. „რაპპის“ მუშაობის მეთოდები საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების გზაზე სერიოზულ დაბრკოლებად მოგვევლინა. „რაპპამ“ თავის დროზე ითამაშა დადებითი როლი. ახლა მისი მისია შესრულებული აღმოჩნდა. საკ. კ.პ. (ბ) ც.კ. 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ ბოლო მოუღო მუშაობის „რაპპულ“ მეთოდებს, მოსპო ჯარჩაკეტილობა, „ამქრული წყობილება“ ხელოვნების სფეროში და გაეხსნა ფართო გზა საბჭოთა ლიტერატურის, დრამატურგიის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, ხუროთმოძღვრების დაუბრკოლებელ განვითარებას.

ხელოვნების მუშაკთა ძირითად ფენებში მოხდა ფრიად მნიშვნელოვანი გარდატეხა. ხელოვნების მრავალრიცხოვანი არმიის ძირითადი მასა, ავანგარდული რაზმები გადავიდა პროლეტარიატის მხარეზე, უფრო და უფრო უახლოვდება პროლეტარულ დიქტატურის პოზიციებს.

ასეთია ჩვენი მორიგი გამარჯვება იდეოლოგიურ ფრონტზე.

ცხადია, ხელოვნების სფეროში ძალთა სრული კონსოლიდაცია ჯერ კიდევ როდია მიღწეული. მიზეზი გასაგებია: კლასობრივ ბრძოლის პირობებში ხელოვანთა მასის ერთსულოვნად დარაზმვა ჩვენი ეპოქის გაბატონებული იდეების მიმდეობის საფუძველზე მეტად ძნელი საქმეა. გასახვილებული კლასობრივი ბრძოლის გზით მივდივართ უკლასო სოციალისტურ საზოგადოებისაკენ. კლასთა ბრძოლის პროცესი არ მოსწყვეტია არც იდეოლოგიურ ფრონტზე, მაშასადამე—არც ხელოვნებაში არსებობს კლასობრივი ზავი. აქედან აშკარაა, ხელოვნების მუშაკთა რიგებში ჩვენდამი მტრულად განწყობილი, კლასობრივი მტრების იდეოლოგიის გამომხატველი ელემენტები არ წარმოადგენს იშვიათობას. ბრძოლა ამ ელემენტებთან შეადგენს მარქსისტულ-ლენინური მხატვრული კრიტიკის სერიოზულ ამოცანას.

მხატვრული კრიტიკა ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტია ჩვენში. ლიტერატურულ კრიტიკოსს აკლია მთავარი: ლიტერატურული ფაქტის დიალექტიურ-მატერიალისტურ გაგების მკვეთრი უნარი. აქედან —ხშირად ვულგარული, „თავზე ხელაღებული“ მიდგომა კრიტიკის საგნისადმი. იმის ნაცვლად, რომ მწერალი, მხატვარი, დრამატურგი სწორ გზაზე დააყენოს კრიტიკამ, გახადოს ისინი—როგორც ამბობს მარქსი —„თანამედროვე იდეების არაღად“, ის „ჩაწიხლვის პოლიტიკას“ იმარჯვებს არც ისე ოსტატურად და აკეთებს ულმობელ დასკვნას: „სასიკვდილოა!“ ასეთი კრიტიკა არ არის მარქსისტულ-ლენინური, მატერიალისტურ-დიალექტიური კრიტიკა.

არა მოსპობა მწერლის, არა მედ გარდაქმნა, „გადაკეთება“, პროლეტარიატის თვალსაზრისზე გადმოყვანა. მარქსიზმი ებრძვის „თანშობილ იდეათა თეორიას“, არ არსებობს არავითარი თანშობილი იდეა, არ არსებობს არც პროლეტარიატის დიქტატურასთან აუცილებლად ბრძოლის თანშობილი იდეა, ხელოვნებაშიც. ჩვენი სახელოვანი პოლიტიკის დედაარსია ხელოვნების ძუშაკთა აქტიურად ჩაბმა სოციალიზმის მშენებლობაში და არა გარიყვა, განდევნა მათი ამ მშენებლობიდან.

ერთი რე მხრივ, ეს სრულებით არ ნიშნავს კომუნისტური კრიტიკისათვის ულირს მანჭობას რომელიმე დამჟავებული ხელოვნის წინაშე. კრიტიკა მკვეთრი და დამაჯერებელი, უარმყოფელი და მომღები, მომსპობი და ღმდგენი, წამქცევი და წამომყენებელი, გზის აღმკვეთი და გზის მაჩვენებელი—ასეთი უნდა იყოს ბოლშევიკური მხატვრული კრიტიკა.

რასაკვირველია, ჩვენი კრიტიკა სრულებით არ აუხვევია გვერდს განადგურების მეთოდს იქ, სადაც ამას მოითხოვს პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ინტერესები.

ჩვენ ოდნავადაც არ შევანელებთ პარტიულ ბრძოლას, ბოლშევიკურ წინდახედულებას ხელოვნების ფრონტზე. ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ ხელოვნების განვითარების საქმე ემორჩილება პარტიულ ხელმძღვანელობას, სდგას საიმედო გზაზე.

მეორე ხუთწლედი ხელოვნების წინაშე აყენებს მეტად მნიშვნელოვან საკითხებს. ხუთწლედის პოლიტიკური ამოცანა—კაპიტალიზმის—ნაშთების აღკვეთა, ხვრა საბჭოთა ეკონომიკისა და ადამიანთა ფსიხიკიდან—მოითხოვს საბჭოთა ხელოვნებისაგან ღრმაბულ შემოქმედებით მუშაობას, შინაგან ცეცხლით ანთებას, ენთუზიაზმის გაათკეცებას. ხელოვნებამ უნდა იშალოს ახალი ადამიანისთვის. კერძოთ, დიდია მხატვრული ლიტერატურის როლი ადამიანის ფსიხიკაში კაპიტალიზმის ნარჩენების ამოფხვრის ურთულეს საქმეში.

საბჭოთა ხელოვნებამ უნდა პირნათლად შეასრულოს მის წინაშე დასმული ისტორიული ამოცანები, გადასწყვიტოს პრობლემები, რომლებსაც მას უყენებს სოციალიზმის პერიოდი, პროლეტარიატის დიქტატურის დიდი ეპოქა. ამისათვის საჭიროა გაშმაგებული ბრძოლა პრ[illegible] ძალალ ხარისხისათვის, მხატვრული ნაწარმოების მაღალ იდეურ-მხატვრულ ღირსებისათვის. ხალტურა, წუნი უნდა განდევნოს ხელოვნებიდან. უნდა გვახსოვდეს: ხალტურის ცნება გულისხმობს არა მარტო ფორმალურ-სტილისტურ მომენტებს, არამედ იდეოლოგიური მხარესაც აუცილებლად.

ამ გზით უსათუოდ გავიმარჯვებთ დიდი ეპოქის დიდი ხელოვნებისათვის ბრძოლაში.

ტფილისში გასაღებულია 20.930.515 მან. სესხი

22 აპრილისათვის ტფილისში მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხი გავრცელებული იყო სულ 20.930.515 მანეთის რაოდენობით, შესრულებული იყო დასახული თანხის 101,9 პროც აქედან ქალაქის მშრომელ მოსახლეობას ხელმოწერა ჩატარებული ქონდა 20.664.815 მანეთზე (103 პროც.) ვარეუბნის კოლმეურნეებს 225.700 მანეთზე (112,8 პროც.), ხოლო ერთპიროვნულ მეურნეებს ნაწილ ანგარიშზე გავრცელებული ქონდათ 40 ათასი მანეთის ობლიგაციები, (14,8 პროც.).

სესხის გავრცელების მხრივ პირველი ადგილი უკავია ლენინაიონს, ხოლო მეორე ადგილი ორჯონიკიძის რაიონს, ლენინაიონს სესხი გავრცელებული აქვს გათვალისწინებული თანხის 110,7 პროც. ხოლო ორჯონიკიძის რაიონს 103,5 პროც რაოდენობით.

გარეუბნის რაიონში ერთპიროვნულ მეურნეთა შორის სესხის გავრცელება ძალზე ჩამორჩენილია. ახლანა-განმარტებითი მუშაობის ფარგოთ გამლით ეს მდგომარეობა უახლოეს ხანში უნდა გამოსწორდეს რომ პროლეტარულ დღესასწაულს პირველ მაისს ლოზუნგი „არც ერთი მშრომელი უობლიგაციოთ“, შესრულებული იქნეს.

სესხზე ხელი მოწერილი აქვს კოლმეურნეთა 84 პროცენტს

(ოზურგეთი, ტელეგრაფით სპკ. კორესპონდენტისაგან)

22 აპრილისათვის ოზურგეთის რაიონში ახალი სესხი გავრცელებული იყო 737.000 მანეთის რაოდენობით, შესრულებული იყო დასახული ციფრის 94,8 პროც. მუშა-მოსამსახურეებსა და ქალაქის შეუკავშირებელ მოსახლეობაში სესხის გავრცელება 20 აპრილს დამთავრდა.

კოლმეურნეობებს ხელმოწერა ჩატარებული აქვთ 224.000 მანეთის რაოდენობით, ხელი მოწერილი აქვს კოლმეურნეთა 84 პროც.-ს.

ხელის მოწერა წარმატებით გრძელდება.



ტფილისის ორთქლმავალი № 196 იერია „ბ“ (ტფილისის დეპო), რომელმაც ბრიგადა რკ. გზის ხაზზე—საველე სადგურებზე ა. რ მოება აგიტაცია ორე ხუთწლედის მეორე წლის სესხის გავრცელებისათვის

ხონი იწვევს სამშრეობას

(საკ. კორესპონდენტისაგან)

ხონის რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა მაგნიტოგორსკის დამკვრელთა მოწოდების საპასუხოთ ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულეს; მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხზე ხელის მოწერა სამ დღეში დაამთავრეს.

სესხზე ხელის მოწერა დაიწყო 17 აპრილს. 19 აპრილს საღამოსათვის სესხზე ხელი მოწერილი ქონდა 1777 კაცს 235 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც გათვალისწინებულ თანხის 102 პროც. უდრის.

კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში ფართო განმარტებითი მუშაობის გაშლის აფიშებელზე მიმდინარეობს სესხზე ხელის მოწერა.

ვ. მერკვილაძე.

„სიხარულით ვესალმებით და ხმას ვაძლევთ სესხს“

ჩელიუსკინელები ხელს აწერენ თვის საშუალო ხელფასზე.

უელენი, 22 აპრილი. ჩვენ, ჩელიუსკინელებმა, საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალური სიმძლავრე არაჩვეულებრივად ვიგრძენით და შევიგნეთ მოდერიფიც ყინულზე ყოფნის დროს.

პროლეტარულმა სახელმწიფომ მარტომ, სხვა ქვეყნების დაუხმარებლად, თავის მხრებზე ასწია 104 კაცის გადარჩენის უმძიმესი საქმე, რომელთაც, შორეული არქტიკის ზღვაში ავარია განიცადეს. მთავრობამ და მთელმა საბჭოთა კავშირმა უჩვეულო გაჭანებით მოაწყეს დახმარება. საბჭოთა კავშირმა მთელს მსოფლიოს უჩვენა მაღალი დონე თავისი ტექნიკური მომზადებულობისა, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო სოციალისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობას, არამედ თავდასხმისაგან პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს დაცვასაც.

საბჭოების ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია მნიშვნელოვანი ოდენობით ხდება ჩვენი საშინაო რესურსების, ჩვენი საშინაო სესხების ხარჯზე. მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხი იქნება ახალი აგური უკლასო საზოგადოების შენობაში, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ.

ჩვენ, ჩელიუსკინელები, სიხარულით ვესალმებით და ხმას ვაძლევთ სესხს. ჩვენ მიერ შექმნილი ხელმეწყობი კომისია ამოცანად ისახავს 100 პროცენტით ჩაგვაბას ხელმოწერაში თვის საშუალო ხელფასის ოდენობით. ჩვენ ახლა დაფანტული ვართ ჩუკოტის მთელ სანაპიროზე—ვანკარემის კონცხიდან ლავრენტის უბემდე, შევიკრიბებით რა გემზე ჩვენ ყველანი ვალდებულებას ვკისრულობთ სამ დღეში გავაფორმოთ ხელისმოწერა და დარწმუნებული ვართ, რომ ამას ვადამდე დავამთავრებთ.

ხელმეწყობი კომისია: ბობროვი, კოპუსოვი, ბაევსკი, ზადოროვი, რუმიანცევი, სემიონოვი, კოლესნიკოვი.

„ეს არის სოციალისტური მშენებლობის სესხი“

(ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა)

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები ერთსულოვნად გამოეხმაურენ მაგნიტოგორსკის დამკვრელ მუშების მიმართვას „მეორე ხუთწლედის სესხის“ გამოშვების შესახებ. 16 აპრილიდან ფართოდ გაიშალა ახსნა-განმარტება ყველა საამქროებში. ხელის მოწერა და საუბრები ტარდებოდა მინიმალურად სამუშაოზე.

— „ჩვენ ვიცით — აცხადებენ მუშები, რომ — ჩვენი სესხები **ეს არის სოციალისტური მშენებლობის სახსრები.** ეს არის მეორე ხუთწლედის შესრულების სესხი.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და ჩაის ფაბრიკაში სესხზე ხელს მოწერა 18 აპრილისათვის 59.900 მანეთს უდრიდა.

ხელის მოწერა გრძელდება.

დავ. ფაილოძე.

სესხის კამპანიის ქრონიკა

ექიმმა **ი. გომართელმა** ნაღდ ანგარიშზე შეიძინა მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხის **1000 მანეთის ობლიგაციები.**

***

ა.-კ. რკ. გზის მე-16 დისტანციის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს სესხზე 50.000 მანეთის რაოდენობით და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ა.-კ. რკინისგზის სალიანდაგო დარგის მუშა-მოსამსახურენი.

***

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორებმა და მასწავლებლებმა სესხზე ხელის მოწერა **მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხის 125.000 მანეთის** უდრის.

***

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა რიცხვით 142 კაცმა ხელი მოაწერა სესხზე 17.585 მანეთის რაოდენობით.

***

გორის საკონსერვო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს თითო დღის ხელფასზე, რაც 40.000 მანეთს შეადგენს.

თვალისჩინივით გაუფრთხილდეთ ცივრეასოვან კერძვერათა თვითეულ ნარგავს

ფოთის ლიმონ მანდარინის საბჭოთა მეურნეობამ ყველა შესაძლებლობა უნდა დააღწიოს სამარცხვინოს ჩამორჩენას

(ჩვენი სპეც კორესპონდენტისაგან)

საგანგებოდ სამუშაოთა გეგმა-ტლიერებამ ცხადყო, რომ ეს არ იქნება საკმარისი ტრიფოლიატის სანერგის შესრულება ფოთის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობაში ძალზე ჩამორჩენილია. მეურნეობის ხელმძღვანელობა თავიდანვე ვერ აიღებს მაღალი ტემპები ტრიფოლიატის დარგვის ვადაზე და დამთავრებისათვის; და **სათანადოდ ვერ უხელმძღვანელებს ამ სამუშაოს.**

ტრიფოლიატის სანერგის დათესვა დაიწყო 15 აპრილისათვის მეურნეობაში უნდა გაეშენებიათ ლიმონისა და მანდარინის პლანტაცია ორ ჰექტარზე. მაგრამ ამ რიცხვისათვის ნიადაგის მომზადება **დაწყებულიც არ იყო.** ნაცვლად იმისა, რომ დირექციამ მიეღოს ყველა საჭირო ზომა ციტრუსოვანი კულტურების დაკვრითი წესით გაშენებისათვის, თავს იმშვიდებს: რა გეჩქარება, მოვესწრებითო.

შეუწყნარებლად **ნელი ტემპებით მიმდინარეობს ციტრუსოვანი სანერგის გაშენება.** გეგმით გათვალისწინებულია 500 ათასი ძირი ტრიფოლიატას დარგვა. გასული წლის ნათესი ფართობიდან სძირი ტრიფოლიატის გადარგვა (რომლიდანაც 300 ათას ძირზე წელსვე იწარმოებს ლიმონისა და მანდარინის მყნობა). **უნდა დამთავრებულიყო 5 აპრილისათვის. ეს სამუშაო არ იყო შესრულებული 15 აპრილისთვისაც კი.**

ჩამორჩენას მეურნეობის დირექტორი **მ. მარკმანი** და მისი მოადგილე, უმფროსი აგრონომი, **ალ. თოფურიძე** ხსნიან. „ობიექტური მიზეზებით“, ისინი აცხადებენ:

— ქარბუქმა შეგვიშალა ხელი, თორემ დარგვა დამთავრებული გვქონდაო.

ეს ფორმალური მიზეზია. რადგან ქარბუქი იყო მარტის ბოლო რიცხვებში. ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზია ის, რომ მეურნეობის ხელმძღვანელებმა თავიდანვე ვერ აიღეს მაღალი ტემპები ტრიფოლიატის დარგვის ვადაზე და დამთავრებისათვის; და **სათანადოდ ვერ უხელმძღვანელეს ამ სამუშაოს.**

მიმდინარე წლის 15 აპრილისათვის მეურნეობაში უნდა გაეშენებიათ ლიმონისა და მანდარინის პლანტაცია ორ ჰექტარზე. მაგრამ ამ რიცხვისათვის ნიადაგის მომზადება **დაწყებულიც არ იყო.** ნაცვლად იმისა, რომ დირექციამ დროულად არ მიიღო ზომები ნერგების შესაძენად და მხოლოდ სამუშაოთა ვადების ამოწურვის შემდეგ მოაგონდა ეს საკითხი.

საგანგებოდ სამუშაოთა ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზია ის, რომ დირექციამ, მუშათა კომიტეტმა (თავმჯდომარე **პრ. გილინჩი**) და მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველჰყო მუშახელის გეგმიური განაწილება, შრომის მოწესრიგება, მუშათა ყოფაცხოვრების სათანადოდ გაუმჯობესება, სოცშეჯიბრების და დაკვრილობის გაჩაღება და დღემდე ვერ გარდაქმნა მუშაობა მე-17 პარტყრილობის დადგენილების საფუძველზე. გარდა ამისა, საქ. ლიმონ-მანდარინის ტრესტი განაგრძობს ბიუროკრატიულ წესით ცირკულარებით და მიმოწერებით ხელმძღვანელობას. ეს სხვათაშორის ჩანს იქედან, რომ ერთ ღღეს (13 აპრილს) მეურნეობაში ტრესტიდან მიიღეს ცირკულიარების მთელი გროვა.

—:—

ციტრუსების გაშენების სამუშაოთა ვადები უკვე იწურება. დროა ფოთის ლიმონ - მანდარინის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელმა, მუშაკებმა სერიოზულად იზრუნონ ციტრუსოვანი კულტურების განვითარებისა და მისი მაღალი მოსავლისათვის.

თ. კუნჭულია.

ფართოვდება ციტრუსეგის ნარგავები ერთპიროვნულ მეურნეობებში

(აჭარისტანი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

უკანასკნელად აჭარისტანის ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ციტრუსოვან კულტურების გაშენებას ერთპიროვნულ მეურნეობებში.

ერთპიროვნულ მეურნეობების მომსახურება სანიმუშოდ არის დაყენებული ჰოლეთის რაიონში. აქ მიმდინარე წლის მარტში ჩატარდა სასოფლო კრებები, სადაც დაშუშავდა ციტრუსების ხალი პლანტაციების გაშენებისა და მოვლის საკითხები. არჩეულ იქნენ ციტრუსების საქმის მცოდნენი სოფლის ავტორიტეტიანი პირები; **აბრორწმუნებულებად.**

თვითეულ აგრორწმუნებულს დავალებული აქვს ციტრუსების დარგში მომსახურება გაუწიოს 15—20 ერთპიროვნულ მეურნეს. აგრორწმუნებული პასუხისმგებელია ერთპიროვნულ მეურნეობათა ციტრუსების თვითეულ ნარგავზე, მის მდგომარეობაზე.

ხახ.-სამ. არტელის წევრების ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებული პლანტაციების ყველა სამუშაოზე კი პასუხისმგებელია სასოფლო-სამ. არტელის თავმჯდომარე. ამჟამად მთელს ქობულეთის რაიონში გამოყოფილია 155 აგრორწმუნებული.

ქობულეთის რაიონში ციტრუსოვან ნარგავთა აღრიცხვის სწორად ჩატარების შედეგ თვითეულმა აგრორწმუნებულმა ეცნა ყველა—რომელ ერთპიროვნულ მეურნეს რამდენი ძირი ნარგაჟი აქვს და რაგორ არის ის მოვლილი.

აგრორწმუნებულების გამოყოფამ ქობულეთის რაიონში აპრილის პირველ ხუთდღეში ურშიც გამოიღო თავის ნაყოფი. მაგ. 25 მარტისათვის (აგრორწმუნებულების გამოყოფამდე) **ერთპიროვნულ მეურნეობებს** ციტრუსოვან ნარგავთა შეწამვლის გეგმა შესრულებული ქონდათ, 3,1 პროცენტით, 1 აპრილისათვის — 20 პროცენტით, ხოლო 10 აპრილისათვის — 70 პროც., ამრიგად აპრილის პირველ ხუთდღეურში შეწამვლის გეგმა შესრულდა 17 პროცენტით, ხოლო მეორე ხუთდღეურში—50 პროც.

ანალოგიური პლანტაციაში სასუქის შეტანის და აგრეთვე გადამარგის მხრივაც.

მუხა-ესტატეს სახ. საბჭოს (თავმჯდომარე ნ. ცეცხლაძე) 5 აპრილისათვის ნადაგში სასუქის შეტანის გეგმა (46,3 ჰექტ.) შესრულებული ქონდა—34 პროცენტით, ერთპიროვნულ მეურნეობების მოგვართ ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერების შედეგად, **სასუქის შეტანა ციტრუსების მთელს ფართობზე ერთ ხუთდღიურში დამთავრდა,** — 10 აპრილისათვის გეგმა შესრულებული იყო უკვე 100 პროც.

სოფ. მუხა-ესტატეს მეოთხე უბნის აგრორწმუნებული ხ. მენაღარიშვილი, რომელსაც ჩაბარებული ყავს 15 კომლი, ადგილებზე უშუალოდ **ხელმძღვანელობს და ეხმარება** ერთპიროვნულ მეურნეობებს ციტრუსოვან პლანტაციის მოვლის საქმეში. ამის შედეგად მისმა უბანმა შეწამვლა ვადამდე მაღალხარისხოვნად ჩაატარა.

ერთპიროვნულ მეურნეობების მომსახურების ასეთივე პრაქტიკა შემოღებულია აგრეთვე ბათუმის რაიონშიც. ყველა უბანს ყავს თავისი აგრორწმუნებული, რომელთა შორის წინასწარ ჩატარდა საუბრები მათი მოვალეობის შესახებ.

ზოგმა აგრორწმუნებულმა უკვე ფართოდ გაამალა მუშაობა. მაგ. მაჭიწყაორის სახ. საბჭოში გამოყოფილია **12 აგრორწმუნებული,** ამათში მოწინავედ ითვლება **ხასან ბერიძე** (კომუნისტია), რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მთელს სოფელში. ხასან ბერიძემ ციტრუსების მოვლის საუკეთესო მაგალითი უჩვენა თავის მეზობელ ერთპიროვნულ მეურნეობებს.

ხასან ბერიძის ბაღში ციტრუსები სუფთად და წესიერად შემობარული; შეწამლული ნარგავები სასუქით განოყიერებული და ნიადაგი სახუქით განოყიერებულია.

მაგრამ ხასან ბერიძე მარტო თავის საკუთარ პლანტაციაზე არ ზრუნვას, იგი **ეხმარება და ხელმძღვანელობს** თავის უბანში შემავალ ერთპიროვნულ მეურნეობებს ციტრუსების გაშენებასა და მოვლის საქმეში.

მახინჯაურის სახ. საბჭოში შემადგენლობა ერთპიროვნულ მეურნეობებმა გეგმის ბარეშე დარგეს 900 ძირი მანდარინი.

ამრიგად ბათომის რაიონში, ისე როგორც ქობულეთში, აგრორწმუნებულების ჩამოყოფის პრაქტიკა საუკეთესო ნაყოფს იძლევა, საჭიროა ერთპიროვნულ მეურნეთა შორის მუშაობის ეს გამოცდილება ყველა რაიონმა გამოიყენოს.

ეხლა ქობულეთის და ბათომის რაიონის მშრომელი ერთპიროვნული მეურნეობები, თავიანთ კარმიდამოს ამშვენებენ ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ნარგავებით, ისინი ადგილობრივი პარტორგანიზაციებისა და აგრორწმუნებულებისა უშუალო ხელმძღვანელობით და დახმარებით აუმჯობესებენ პლანტაციებს მოვლის ხარისხს, იბრძვიან მოსავლიანობისათვის.

ვ. მელიქიშვილი.

„ეს არის სოციალისტური მშენებლობის სესხი“

(ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა)

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები ერთსულოვნად გამოეხმაურენ მაგნიტოგორსკის დამკვრელ მუშების მიმართვას „მეორე ხუთწლედის სესხის“ გამოშვების შესახებ. 16 აპრილიდან ფართოდ გაიშალა ახსნა-განმარტება ყველა საამქროებში. ხელის მოწერა და საუბრები ტარდებოდა მინიმალურად სამუშაოზე.

— „ჩვენ ვიცით — აცხადებენ მუშები, რომ — ჩვენი სესხები **ეს არის სოციალისტური მშენებლობის სახსრები.** ეს არის მეორე ხუთწლედის შესრულების სესხი.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და ჩაის ფაბრიკაში სესხზე ხელს მოწერა 18 აპრილისათვის 59.900 მანეთს უდრიდა.

ხელის მოწერა გრძელდება.

დავ. ფაილოძე.

სესხის კამპანიის ქრონიკა

ექიმმა **ი. გომართელმა** ნაღდ ანგარიშზე შეიძინა მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხის **1000 მანეთის ობლიგაციები.**

***

ა.-კ. რკ. გზის მე-16 დისტანციის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს სესხზე 50.000 მანეთის რაოდენობით და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ა.-კ. რკინისგზის სალიანდაგო დარგის მუშა-მოსამსახურენი.

***

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორებმა და მასწავლებლებმა სესხზე ხელის მოწერა **მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხის 125.000 მანეთის** უდრის.

***

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა რიცხვით 142 კაცმა ხელი მოაწერა სესხზე 17.585 მანეთის რაოდენობით.

***

გორის საკონსერვო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს თითო დღის ხელფასზე, რაც 40.000 მანეთს შეადგენს.

ავღ. გერია გათომში

გათოვა[illegible] 22 აპრილი. ბათომში ჩამოვიდა სკპ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი **ამხ. ლ. ბერია, ამხ. არუთინოვთან და ბაუმფელდთან** ერთად.

20 და 21 აპრილს **ამხ. ბერიამ** საქ. კ.პ. (ბ) აჭარისტანის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოადგილის **ამხ. ლორთქიფანიძის,** აჭარისტანის ცკის თავმჯდომარის მოადგილის **ამხ. რამიშვილის, ამხ. კეკელიას, ხოშტარიას, ღვამიჩავას** და სხვ. თან ხლებით დათვალიერა საიმპორტო ნერგების სანერგე მახინჯაურის ხეობაში. ლიმონის ორანჟერეა საღებაურში, ჭობულეთის ციტრუსების სანერგე და საბჭოთა მეურნეობები. ლიმმანტრესტის—ციტრუსაურში, ორბამურის ჩაის საბჭოთა და აჭარისტანის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობანი.

21 აპრილს, საღამოს **ამხ. ბერიას** მონაწილეობით შესდგა პარტიის აჭარისტანის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომა (ადს).

შაქრის ჭარხლის თესვა დამთავრდა

22 აპრილს საქართველოში დამთავრდა შაქრის ჭარხლის თესვა. **დათესილია 4.500 ჰექტარი.**

განსაკუთრებით წარმატებით გაშალეს ბრძოლა შაქრის ჭარხლის ნაადრევი და მაღალხარისხოვანი თესვისათვის ქვენატკოცას და წროშის კოლმეურნეობებმა (სტალინის რაიონი). მათ ჯერ კიდევ შემოდგომაზე მოხსნეს ჭარხლის სათესი ფართობი, **ხოლო გაზაფხულზე კვლავ გადახნეს და დაფარცხეს.** თავის დროზე ჩატარებული მუშაობის შედეგად ქვენატკოცას და წროშის კოლმეურნეობები ჭარხლის თესვის [illegible]

კომკავშირის მუშაობის გარდაქმნას— მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა

კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობა მივიწყებულია

(ტფილისის დეპკო)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი კომკავშირის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებში პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას მიაქცევდა, იმაზე, რომ სისტემატიური, კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ კომკავშირს; მიუხედავად ამისა **მთელი რიგი** აღგილობრივი **პარტორგანიზაციები** არავითარ ყ რადღებას არ აქცევენ **კომკავშირის ორგანიზაციას.** კომკავშირზე ხელმძღვანელობის საკითხი სასხვათაშორისო საქმ მიჩნიათ. **ამ ორგანიზაციების რიცხვს ეკუთვნის ტფილისის დეპოს პარტიული ორგანიზაცია;** დეპოს პარტკომი არავითარ ხელმძღ ელობას არ უწევს კომკავშირის ორგანიზაციას. კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. **არჩილ მანკაძე** აცხადებს: არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ პარტიულ კომიტეტს მოესმინოს მოხსენება კომკავშირის მუშაობის რომელიმე საკითხზე, და რაიმე ხელმძღვანელობა და დახმარება გაეწიოს. ივივე ითქმის პარტორგანიზატორებსა და პარტჯგუფებზე. **მათ მივიწყებული აქვთ კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი და არც ხურთ ამის გახსენება.**

პარტიული ორგანიზაციის უყურადღებობის გამო **მოუქნელია დეპოს თვით კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაც.** ამას ლაპარაკობს შემდეგი ფაქტები. დეპოს კომკავშირის ორგანიზაცია აერთიანებს 262 წევრს; დღემდე არსებობდა 4 უჯრედი, 5 რგოლუჯრედი და 18 კომკავშირული ჯგუფი. კომკავშირის ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნა; საკ. კომკავშირის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე პირველ რიგში დაიწყო ძირეულ რგოლებ დან. კომკავშირის კომიტეტის მიერ შემოწმდა და გარდაქმნა რგოლუჯრედები და კომჯგუფების მუშაობა; გარდაქმნის, შემდეგ რგოლუჯრედის მაგივრად ჩამოყალიბდა ჯგუფები და უჯრედების მაგივრად ყალიბდება კომკავშირის პირველადი ორგანიზაციები. აქ თამამად შეიძლება ითქვას, რომ **კომკავშირის ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნა სუსტად მიმდინარეობს.**

კომკავშირის მუშაობის გარდაქმნას არ ხელმძღვანელობს ადგილობრივი პარტორგანიზაცია. დეპოს **კომკავშირის ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი — მეტწილად საწარმოოში — ვერ ამართლებს ავანგარდულ როლს.** მაგ. ორთქლმავალი № 9788 სამარცხვინოდ არის ჩამორჩენილი გეგმების შესრულებაში. მან 1933 წლ. დეკემბერში გეგმაზე გადაჭარბებით დახარჯა 17.725 კ. გ. საწვავი მასალა მე-17 პარტყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ზემოთაღნიშნული ორთქლმავალი შეჯობაზე აიყვანეს კომკავშირელებმა, მაგრამ მათ ვერ შეძლეს საწვავი მასალის ეკონომია და კვლავ მის გადახარჯვას აქვს ადგილი. **ხშირად კომკავშირელები არ იბრძვიან გაწყვილებული სვლის კარგად გატარებისათვის** სამანევრო ორთქლმავალზე მემანქანის თანაშემწე, კომკავშირელი **ხოშტარია** გაწყვილებული სვლის დროს არ გამოცხადდა სამუშაოზე. კომკავშირელმა **მარჭაროვმა** წელს ერთი თვის განმავლობაში ოთხჯერ ჩაშალა გაწყვილებული სვლა. კომკავშირის წევრებს **მიშა ბახტაძეს, გონგაძეს, გ. ამაჯანოვს, ფიდოროვს** და სხვ., სულ 25 კაცს, ადმინისტრაციამ რამოდენიმეჯერ გამოუცხადა საყვედური, უწესრიგო მუშაობისა და მანქანა - იარაღებისადმი გულგრილად მოპყრობისათვის. ადგილობრივ დეპოში კომკავშირის წევრები **თურაზაშვილი, კაკივიშვილი, ნიკოლეიშვილი** და სხვ., ორთქლმავლებს ჯარგად არ უკეთებენ რემონტს, მათ მიერ **გამოშვებული ორთქლმავლები ხშირად ხელმეორედ მოითხოვს შეკეთებას.**

კომკავშირის წევრები 100 პროც. არიან „ჩაბმული“ სოციშეჯიბრებასა და დამკვრელობაში, მაგრამ დამკვრელის სახელწოდებას მხოლოდ 78 კაცი ამართლებს. ასეთებია ამხ. **ვარლამოვი,** ორთქლმავალი № 614 სერია „ე“, კომკავშირული ჯგუფის ხელმძღვანელი. კომკავშირული ორთქლმავალი საწარმოო დავალებებს სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს მაგ. 1934 წ. თებერვალში გეგმით მიცემულ 3.600 კილომეტრის ნაცვლად გაიარა 3702 კ. მ. საწვავი მასალის ეკონომია ჰქონდა 5589 კილოგრამი; სამეურნეო ანგარიშის კარგად გატარებით ეკონომია მიიღეს 486 მან. 83 კაპ. ასეთივე დამკვრელი კომკავშირელებია: **არტ. დავითაშვილი, გრამიტონ ჩხაიძე, ალბერტ ტახჩიევი, ვ. ბოხუა,** და სხვ.

დეპოს კომკავშირში ბლომად არიან ცრუ დამკვრელები, რომელნიც არ იბრძვიან საწარმოში ავანგარდული როლის გამართლებისათ ვის ესენი არიან, **ბურჯაოვი** და **ამირბეგოვი** (სახარატო საამქრო); **ნებიერიძე** (ზეინკალი). მემანქანე **ქვირიკაშვილი** და სხვ.

დეპოს კომკავშირელები **აქტიურად არ იბრძვიან ტექნიკის დაუფლებისათვის.** მართალია ჩამოყალიბებულია ტექნიკის დაუფლების წრეები, მაგრამ მეცადინეობაზე დასწრება ცუდია, კომკავშირის წევრები **კალო კობახიძე, ა. პოლოსოვი, ხახანაშვილი, ჩიფოვი, კ. გოგოლაძე** და სხვ., სისტემატიურად არ ესწრებიან ტექნიკის შემსწავლელ წრეებში მეცადინეობას, მათ წინააღმდეგ **დღემდე არავის არ მიუღია ზომები.** მიმდინარე წლის იანვარში ჩატარდა კომკავშირელთა ტექნიკური გამოცდა, რომელიც გაჭირა მხოლოდ 187 კაცმა. აქედან 25 გამოცდა სუსტად ჩაბარა. ასევე **ცუდად მუშაობენ კომკავშირული პოლიტსკოლებზე;** დეპოში ჩამოყალიბებულია კომკავშირის 3 პოლიტსკოლა. მაგრამ მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება არადამაკმაყოფილებელია / (ესწრება 60—65 პროც.), **მ. გოგონაძე, ნ. ქართველიშვილი, ვ. ხახანაშვილი, მუქერია** და სხვ. სისტემატიურად არ ესწრებიან მეცადინეობას. ეს ფაქტები ლაპარაკობს იმას, რომ **ტფილისის დეპოს კომკავშირის ორგანიზაცია ბოლშევიკურად ვერ ებრძვის ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.**

ა. ალიბეგაშვილი.

ნაკლეგი სხდომეგი--მეტი ოპერატიულოგა

(ტფილისის მაუდის ფაბრიკა)

მაუდის ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციაში ხშირად იწვევდენ კრებებს, ბევრსაც ლაპარაკობდენ და მწვავე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდენ მუშაობის დეფექტებს; ეძებდენ ერთი-მეორის შეცდომებს და კრებებზე იჩენდენ „აქტივობას“; „მოხერხებულად და მკაცრად“ წარმოთქვამდენ ვრცელ სიტყვებს აღმოჩენილ შეცდომების შესახებ... ასეთი სხდომის ან კრების **დასასრულს,** რომელიც ზოგჯერ 4—5 საათს გრძელდებოდა, გამოჰქონდათ რეზოლუციები და „პრაქტიკული“ ღონისძიებები ცხოვრებაში გასატარებლად... გადიოდა დრო... მაგრამ უთავბოლო მუშაობას ბოლო არ უჩანდა — წუნის გამოშვების პროცენტი იზრდებოდა...

გეგმები არ სრულდება...

პრაქტიკული ღონისძიებანი რეზოლუციასთან ერთად კომკავშირის კომიტეტის მდივნის **ნ. სიმონიანის** მაგიდის უჯრაშია. არავინ ფიქრობს მის ცხოვრებაში გატარებაზე. კომკავშირელები კვლავ მოდუნებულად მუშაობენ. **ნინო ყურუა, გიორგობაანი, გრატიაშვილი, გრაკალიშვილი, ჯღოიევა** და სხვა მრავალი კომკავშირელი უსულგულოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, თითქმის სრულიად არ ზრუნავენ მუშაობის მაღალი ხარისხისათვის, დიდი რაოდენობით უშვებენ წუნს...

წუნი საათობით იზრდება....

საამქროს კომკ. უჯრედების მდივნები ამის წინააღმდეგ კი არ იბრძოდენ. საამქროს კომკავშირის უჯრედთა მდივნები შეიდნი არიან და შვიდივე სტუმან, ჩაშლილია ტექნიკის მინიმუმის წრეების მუშაობა, — რადგანაც მეცადინეობას არ ესწრებიან არც პარტიის წევრები და არც კომკავშირელები არავინ იბრძვის თავის დაზღის ტექნიკის ათვისებისათვის. ზოგიერთი კომკავშირელი არც კი წმენდის თავის დაზღას. ამის შედეგი იყო ის, რომ საქსოვ, კომოლისა და საავტოტრანსპორტო სამღებრო საამქროებში დაზღები ნორმალური დატვირთვით არ მუშაობენ, მტვერში არიან ჩაფლული. ყოველივე ეს ხელს უწყობს წუნის პროცენტის ზრდას... მაგალითად, იანვარში წუნი უდრიდა—40 პროც., თებერვალში კი 5 პროც. მოიმატა. (45,7 პროც.).

კომკავშირელთა პოლიტიკური აღზრდისათვის ვის ცალიე! მართალია, ფაბრიკაში არსებობს 6 პოლიტ სკოლა, მაგრამ არც ერთი არ მუშაობს.

პარტიული ხელმძღვანელი ამხანაგები ხედავდენ ამ მდგომარეობას კომკავშირის ორგანიზაციაში, მაგრამ ზომებს არ ღებულობდენ.

ასეთი უთავბოლო მუშაობის შედეგი იყო მაუდის ფაბრიკის სამარცხვინო ჩამორჩენა, — ფაბრიკამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალის გეგმა შეასრულა 82 პროც. — აქედან წუნი 45,7 პროც.-ს უდრიდა.

მაუდის ფაბრიკას ესაჭიროებოდა მაგარი, მტკიცე პარტიული და კომკავშირული ორგანიზატორის ხელი.

ამხ. სტალინის სახ. რაიკომმა დროულად აუღო ამ მდგომარეობას და ა.-წ. აპრილიდან მაუდის ფაბრიკაში გადისროლა საკმარისად მომზადებული და ოპერატიულ-კონკრეტული მუშაობის უნარის მქონე ბოლშევიკები ამხ. **ოგანეზოვი** (პარტკომის მდივანი) და ამხ. **პარმენ შულაია** (კომკავშირის კომიტეტის მდ ივი).

20 დღის განმავლობაში ოპერატიულ-კონკრეტულ მუშაობით ბევრი რამ გაკეთდა... ამხ. პ. შულაია ჩაუდგა სათავეში მაუდის ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციას, პირველ დღიდანვე ხელი მოჰკიდა სამზადისს მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის, მისთვის უდაოდ გარკვეულია, რომ **„გარდაქმნა ძირითად ამოცანად ისახავს კომკავშირული ხელმძღვანელობის მიახლოვებას კომკავშირელთა მასასთან, რომ მუშაობის ხარისხი წყდება ძირეულ რგოლში, საამქროში („პრავდა“).** პირველ ყოვლისა კომ. კომიტეტის ახალმა მდივანმა ხელი მოჰკიდა **კომკავშირელთა** დისციპლინის განმტკიცებას, მე-17 პარტყრილობის მასალების დეტალურად დამუშავებას კომკავშირელებთან და უპარტიო აქტივთან. გადახალისებული იქნა **ფორმალურად** ჩამოყალიბებული პოლიტსკოლები. ახლა თვითეული ცვლის და თვითეული საამქროს კომკავშირელებს პოლიტსკოლა აქვთ. შესწავლილი იქნა წუნის გამოშვების ძირითადი მიზეზები, გამოირკვა, რომ ზედმეტი საათების მუშაობასთან ერთად წუნის გამოშვების მიზეზია დაზღების მოუვლელობა. და ტექმინიმუმის დაბალი ცოდნა... მოწვეულ იქნა წუნის გამომშვებ კომკავშირელთა თათბირი. ამ თათბირზე მათ მიეცათ პრაქტიკული მითითებები მუშაობის გაუმჯობესებისათვის. დასვენების დღეებში მოეწყო კომკავშირელთა შაბათობა კომკავშირული და საავტოტრანსპორტო საამქროს დაზღების გასაწმენდათ. მოამავალი დასვენების დღეს ასეთასვე შაბათობას აწყობენ კომკავშირელები საქსოვ საამქროში, სადაც დაზღების მდგომარეობა უფრო უარესია. ასეთი მუშაობით წუნის გამოშვების პროცენტი დაეცა.

პარტიული დახმარება კომკავშირისადმი ყოველდღიური და კონკრეტულია. თვით პარტკომიტეტის მდივანი ამხ. ოგანეზოვი ახლოს ეცნობა კომკავშირელთა მასებს, უახლოვდება მათ, ეხმარება მუშაობის ახლებურად გარდაქმნას ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტაში და ორგანიზაციულად მოგვარების საქმეში.

ასე შეუდგა მაუდის ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაცია წინასწარ მოსამზადებელ საქმიანობას. მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის.

ალ. გვინჩიძე.

რატომ მუშაობს ცუდათ ქუთაისის საორთქლმავლო დეპო

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან).

სამი დღე დავყავით ჩვენ ქუთაისის საორთქლმავლო დეპოში, გავეცანით ადამიანებს, ციფრებს, მანქანებს და დაზგებს; ვისაუბრეთ დეპოს სამკუთხედთან (შანიძე, გაბრიჩიძე, გოგოლაშვილი) და მივედით ერთ დასკვნამდე — **ქუთაისის საორთქლმავლო დეპო ცუდად მუშაობს.**

ეს აზრი არ იწვევს არავითარ დავას ჩვენსა და დეპოს ხელმძღვანელებს შორის. უთანხმოებაა საკითხზე — თუ **რა არის ქუთაისის საორთქლმავლო დეპოს ცუდი მუშაობის მიზეზი.**

ისინი ასახელებენ მთელ რიგ მიზეზებს, მაგრამ უყურადღებოდ ტოვებენ მთავარს, ჩვენ კი სწორედ ეს მთავარი გვაინტერესებს.

დავიწყოთ **ავთომყოფი ორთქლმავლების რაოდენობის ზრდის** საკითხიდან. პირველი კვარტალის გეგმა უფლებას იძლეოდა ქუთაისის დეპოს ავთომყოფი ორთქლმავლების პროცენტი ასულიყო: დგომაში—16,8-ზე, ხოლო სამტრედიის დეპოსა და ტფილისის სარემონტო ქარხანაში—18,4-ზე. დეპოს ხელმძღვანელებმა კი ამ უფლებას გადააჭარბეს და აღნიშნული პროცენტი აიყვანეს ადრილობრივად 19,5-ზე ხოლო სამტრედიის დეპოსა და სარემონტო ქარხანაში—35,5-ზე.

ჩვენ ვეძებთ ამის მიზეზს და ისინიც ასახელებენ: „ჩვენი ორთქლმავლები დიდხანს არ ბრუნდება საქარხნო შეკეთებიდან; ტფილისის სარემონტო ქარხანაში მათი შეკეთების არავითარი გეგმა არ არსებობსო“ (შანიძე). „ჩვენი დეპოც არ არის მოწყობილი როგორც წესია; არა გვაქვს თხრილები ორთქლმავლების ჩასაყენებლად, არ გვყოფნის ბაკი საწვავი მასალის მოსათავსებლადო“ (გოგოლაშვილი).

ეს მიზეზები უსათუოდ მისაღებია მხედველობაში. მართლაც, ორთქლმავალთა სარემონტო ქარხანაში სერია „ფერლის“ ორთქლმავლების შეკეთების მეტი სერიოზულობით უნდა მოეპყრან და ალარ განიმეორონ ისეთი ფაქტი, როცა ორთქლმავალი № 9814 გასული წლის ივნისიდან დღემდე დგას და შეკეთებას ელოდება.

კიდევ უფრო მწვავე საკითხია დეპოს ტექნიკური მოუწყობლობა. მართალია გზის დირექციამ უკვე დაადგინა ქუთაისის საორთქლმავლო დეპოს გაფართოება, მაგრამ ეს როდი ქმარა. საჭიროა მოვაგონოთ გზის საპროექტო ბიუროს, რომ თანხა უკვე გაღებულია, მასალებიც ადგილზეა და დეპო მხოლოდ გაფართოების პროექტს ელოდება.

ეს მიზეზებიც მისაღებია მხედველობაში, მაგრამ ისინი ვერასგზით ვერ ამართლებენ ავთომყოფ ორთქლმავლების პროცენტის ესოდენ გაზრდას. 35,5—18,4-ის ნაცვლად. ეს პირველ რიგში ადასტურებს საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის ცუდ მუშაობას. ამ ცუდი მუშაობის შესახებ ლაპარაკობს საორთქლმავლო გუნდების გაწყვილებული სვლის ჩაშლის ხშირი შემთხვევა, რასაც ადგილი აქვს ქუთაისის დეპოში.

გეგმა მოითხოვს, რომ გუნდების გაწყვილებული სვლა გატარდეს 100 პროცენტით. სინამდვილე ლაპარაკობს, რომ ქუთაისის საორთქლმავლო დეპომ ეს დავალება პირველ კვარტალში 83,2 პროცენტით შეასრულა.

ჩვენ ვეძებთ მიზეზს და ისინიც ასახელებენ:

— გვაკლია ხალხი. 36 საორთქლმავლო გუნდის მაგიერ გვყავს 31. ხალხი ვიშოვება, მაგრამ ოთახები არა გვაქვს, უბინოდ არ მოგვიცადესო. (შანიძე, გაბრიჩიძე).

ეს მართლაც ფაქტია. კიდევ მეტი: უბინობის გარდა მუშათა დეფიციტის სხვ. მიზეზებზეც მივუთითებთ ჩვენ. ეს არის სასადილო, სადაც ფასებს რომ თავი დავანებოთ, სრულიად უვარგისია დამზადებული კერძი. მუშებს უნდად კარგი ბინები, მაგრამ ამისათვის დეპოს სამკუთხედი ნაკლებად ზრუნავს.

და განა მარტო დენადობა და მუშა-ხელის ნაკლებობაა გაწყვილებული სვლის ჩაშლის მიზეზი?

არა. ამის მიზეზია ისიც, რომ ქუთაისის დეპოს „საუკეთესო მემანქანე“ (როგორც მას უწოდებს შანიძე და გოგოლაშვილი), ამხ. **ვაშაკიძე** ჯერ 4-ს, ხოლო შემდეგ 10 იანვარს არ გამოცხადდა სამსახურში და ორჯერ ჩაიშალა გაწყვილებული სვლა. ამისათვის ადმინისტრაციამ ის დააჯარიმა საყვედურით და სასჯელი მაშინაც კი არ მიუმატა, როცა გზაში გააფუჭა ორთქლმავალი და მარქაფი მოითხოვა.

მიზეზია ის, რომ მემანქანის თანაშემწეებმა: **კოდუამ, ლონდაძემ, ლეჟავამ, ჭეიშვილმა,** მემანქანე **ჭასრაშვილმა** და ცეცხლფარეშმა **კუბლაშვილმა** გააცდინეს თითო დღე და თავიანთი მხრით ჩაშალეს გაწყვილებული სვლა, ხოლო ამისათვის ადმინისტრაციამ ისინი სათანადოდ არ დასჯა.

ასეთი ამბების ჯამს დისციპლინის სისუსტე ეწოდება და სწორედ ესაა მთავარი მიზეზი გაწყვილებული სვლის გეგმის ჩაშლისა ქუთაისის საორთქლმავლო დეპოში.

და უდისციპლინობა განა მარტო გაწყვილებული სვლის გატარებაზე მოქმედობს? იგი უარყოფით დაღს ასვამს ნამუშევრის ხარისხსაც. ამას ადასტურებს განმეორებითი შეკეთებას არც თუ ისე უმნიშვნელო მოცულობა ქუთაისის დეპოში.

გეგმა მოითხოვდა რომ განმეორებით შეკეთებას პირველ კვარტალში სულ არ ჰქონდა ადგილი. სინამდვილემ დაგვანახა, რომ ამ სამი თვის განმავლობაში განმეორებითი რემონტი მოითხოვა ათმა ორთქლმავალმა.

ჩვენ ვეძებთ მიზეზს და ისინი მიგვითითებენ დეპოს ოსტატზე.

— ამ საკითხზე იგი უკეთ გიპასუხებთო.

და მართლაც ოსტატმა სწორი პასუხი მოგვცა.

— ჩვენ გვყვანან ზეინკლები, რომლებიც ცუდათ მუშაობენ და ხარისხს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მათ მიერ შეკეთებულ ნაწილს უფრო ხშირად ისევ შეკეთება სჭირდებათ. განმეორებით შეკეთების საარიცხვო ჟურნალის დახმარებით ოსტატმა ჩამოთვალა გვარები ამ ზეინკლებისა:

— **გარუჩავა, მალაზონია, ბერუჩავა, ნარსია, სიხარულიძე.**

—მიიღეს თუ არა მათ საკადრისი სასჯელი?

— არა — უპასუხებს ოსტატი. ყველაფერ ამის შემდეგ, ვინ იძლევა გარანტიას, რომ მეორე კვარტალში განმეორებითი რემონტის შემთხვევები უფრო არ გაიზრდება?

სუსტი დისციპლინა და ცუდი ხარისხი იწვევენ **ორთქლმავლების გაფუჭებას გზაში.** გეგმა მოითხოვდა ასეთი შემთხვევის საცილოდ აღმოჩვენას პირველ კვარტალში: სინამდვილემ დაგვანახა, რომ ორთქლმავლის გაფუჭების ისეთ შემთხვევას, როცა ქუთაისის სადგურმა ორთქლმავალი მოითხოვა, მაგრამ უარით გაისტუმრეს.

და საბოლოოდ — რა არის **მთავარი მიზეზი** ქუთაისის საორთქლმავლო დეპოს ცუდი მუშაობისა?

— **სუსტი, შერყეული დისციპლინა** — ასეთია პირველ კვარტალში მომხდარი 45 შემთხვევის ფაქტით გამაგრებული ერთად-ერთი პასუხი ამ კითხვაზე. ხოლო **„მთავარი დანაშაული დაუდევრობისა და გულგრილობა, მაგრამ ამისათვის დეპოს სამკუთხედი ნაკლებად ზრუნავს.**

და განა მარტო დენადობა და მუშა-ხელის ნაკლებობაა გაწყვილებული სვლის ჩაშლის მიზეზი?

არა. ამის მიზეზია ისიც, რომ ქუთაისის დეპოს „საუკეთესო მემანქანე“ (როგორც მას უწოდებს შანიძე და გოგოლაშვილი), ამხ. **ვაშაკიძე** ჯერ 4-ს, ხოლო შემდეგ 10 იანვარს არ გამოცხადდა სამსახურში და ორჯერ ჩაიშალა გაწყვილებული სვლა. ამისათვის ადმინისტრაციამ ის დააჯარიმა საყვედურით და სასჯელი მაშინაც კი არ მიუმატა, როცა გზაში გააფუჭა ორთქლმავალი და მარქაფი მოითხოვა.

მიზეზია ის, რომ მემანქანის თანაშემწეებმა: **კოდუამ, ლონდაძემ, ლეჟავამ, ჭეიშვილმა,** მემანქანე **ჭასრაშვილმა** და ცეცხლფარეშმა **კუბლაშვილმა** გააცდინეს თითო დღე და თავიანთი მხრით ჩაშალეს გაწყვილებული სვლა, ხოლო ამისათვის ადმინისტრაციამ ისინი სათანადოდ არ დასჯა.

ასეთი ამბების ჯამს დისციპლინის სისუსტე ეწოდება და სწორედ ესაა მთავარი მიზეზი გაწყვილებული სვლის გეგმის ჩაშლისა ქუთაისის საორთქლმავლო დეპოში.

და უდისციპლინობა განა მარტო გაწყვილებული სვლის გატარებაზე მოქმედობს? იგი უარყოფით დაღს ასვამს ნამუშევრის ხარისხსაც. ამას ადასტურებს განმეორებითი შეკეთებას არც თუ ისე უმნიშვნელო მოცულობა ქუთაისის დეპოში.

გეგმა მოითხოვდა რომ განმეორებით შეკეთებას პირველ კვარტალში სულ არ ჰქონდა ადგილი. სინამდვილემ დაგვანახა, რომ ამ სამი თვის განმავლობაში განმეორებითი რემონტი მოითხოვა ათმა ორთქლმავალმა.

ჩვენ ვეძებთ მიზეზს და ისინი მიგვითითებენ დეპოს ოსტატზე.

— ამ საკითხზე იგი უკეთ გიპასუხებთო.

და მართლაც ოსტატმა სწორი პასუხი მოგვცა.

— ჩვენ გვყვანან ზეინკლები, რომლებიც ცუდათ მუშაობენ და ხარისხს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მათ მიერ შეკეთებულ ნაწილს უფრო ხშირად ისევ შეკეთება სჭირდებათ. განმეორებით შეკეთების საარიცხვო ჟურნალის დახმარებით ოსტატმა ჩამოთვალა გვარები ამ ზეინკლებისა:

— **გარუჩავა, მალაზონია, ბერუჩავა, ნარსია, სიხარულიძე.**

—მიიღეს თუ არა მათ საკადრისი სასჯელი?

— არა — უპასუხებს ოსტატი. ყველაფერ ამის შემდეგ, ვინ იძლევა გარანტიას, რომ მეორე კვარტალში განმეორებითი რემონტის შემთხვევები უფრო არ გაიზრდება?

სუსტი დისციპლინა და ცუდი ხარისხი იწვევენ **ორთქლმავლების გაფუჭებას გზაში.** გეგმა მოითხოვდა ასეთი შემთხვევის საცილოდ აღმოჩვენას პირველ კვარტალში: სინამდვილემ დაგვანახა, რომ ორთქლმავლის გაფუჭების ისეთ შემთხვევას, როცა ქუთაისის სადგურმა ორთქლმავალი მოითხოვა, მაგრამ უარით გაისტუმრეს.

და საბოლოოდ — რა არის **მთავარი მიზეზი** ქუთაისის საორთქლმავლო დეპოს ცუდი მუშაობისა?

— **სუსტი, შერყეული დისციპლინა** — ასეთია პირველ კვარტალში მომხდარი 45 შემთხვევის ფაქტით გამაგრებული ერთად-ერთი პასუხი ამ კითხვაზე. ხოლო **„მთავარი დანაშაული დაუდევრობისა და გულგრილობა, მაგრამ ამისათვის დეპოს სამკუთხედი ნაკლებად ზრუნავს.**

განა კომუნისტების ცუდ მუშაობაზე არ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მთელ რიგ კომუნისტ მემანქანეებს აქვთ საწვავი მასალის ბალანსი, ხოლო ბევრი უპარტიო მემანქანის ასეთი არა აქვს? ავიღოთ მაგალითად კომუნისტი **ციხელაშვილი,** რომლის ორთქლმავალზეც მაზუთის გადახარჯვა უდრიდა იანვარში 10 პროცენტს, თებერვალში — 6,-ს ხოლო მარტში—4-ს. ასევე კომუნისტ **ოდიშარიას** იანვარში ჰქონდა 12 პროც. გადახარჯვა. ხოლო კომუნისტ **გორგოძის** ბრიგადამ პირველ კვარტალში დაუდევრობითა და სახელმწიფო ქონების გაუფრთხილებლობით დახარჯა ნორმაზე ზეგით 26 ტონა მაზუთი (გადახარჯვა უდრის 35 პროც.).

ასეთი კომუნისტები არის ქუთაისის საორთქლმავლო დეპოში. ეს ყველაზე უკეთ იცის ადგილობრივი პარტყრჯედის მდივანმა ამხ. **გოგოლაშვილმა** და დეპოს უფროსის მოადგილემ კომუნისტმა **შანიძემ,** რომელთაც ჩვენ თხოვნაზე მიეთითებიათ ერთ-ერთ დეზორგანიზატორ კომუნისტზე, გადაჭრით გვიპასუხეს.

— დეზორგანიზატორებს ჩვენთან რა უნდა; მაშ, ჩვენ რას ვაკეთებთ აქ, დეზორგანიზატორები, რომ გვაჩეროთ დეპოში.

ამხ. გოგოლაშვილო და შანიძე! თუ არა დეზორგანიზატორები, მაშ ვინ არიან ზემოთჩამოთვლილი კომუნისტები, რომლებიც დისციპლინას არღვევენ, ცუდათ მუშაობენ, სახელმწიფოს ზარალს აყენებენ? ხოლო თქვენ რას აკეთებთ, რომ გამოასწოროთ მათი მუშაობა, უნდა გითხრათ, რომ არაფერს.

ქუთაისის დეპოში პარტიული ძალები უმართებულოდა განაწილებული. ძალების უხეიროდ განაწილების შედეგად, რამდენიმე საორთქლმავლო ბრიგადაში (ორთქლმავალი № 9792, 322) და სამატარებლო გუნდზე (მატ. № 403), არც ერთი კომუნისტი არ მუშაობს, ხოლო ზოგ ორთქლმავალზე ორივე ცვლის ბრიგადის ყველა წევრი კომუნისტია (ორთქ. № 403 და 408), პარტიული ძალები უხეიროდაა განაწილებული აგრეთვე სარემონტო საამქროშიაც, სადაც 5 კომუნისტი ითვლება.

სასტიკად ცდება უჯრედის მდივანი ამხ. გოგოლაშვილი, როცა ჰგონია, რომ ყველაფერი ეს უბრალო საქმეა. უბრალო კი არა, **ესაა ძირითადი** პარტიული ძალების განაწილება და კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერება წყვეტს სამეურნეო წარმატების საკითხს.

ქუთაისის საორთქლმავლო დეპო იმიტომ ჩამორჩება, რომ აქ პარტიულ-მასობრივი მუშაობა სუსტია, რომ კომუნისტები ავანგარდულ როლს ვერ ასრულებენ და ზოგ შემთხვევაში უპარტიოებსაც ჩამორჩებიან — ასეთია ჩვენი დასკვნა.

ნ. პაიჭაძე.

კონკურსი საუკეთესო მწყემსზე

დოლის ნინასნარი შედეგები დაშაკმაყოფილებელია

(სიღნაღი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

180.279-დან 272.287-მდე

სიღნაღის რაიონში 15 აპრილისათვის 103.565 დასადოლებელი ცხვრიდან დადოლებული იყო სულ 94.461 ცხვარი, ხოლო ამავე რიცხვისათვის შენარჩუნებული იყო 91.968 ბატკანი. **გაბერწებისა და ბატკნის სიკვდილიანობის შემთხვევები კი საშუალოდ რაიონში უდრის 4,7 პროცენტს.** ამრიგად დოლის დაწყების შემდეგ **ცხვრის საერთო რაოდენობა რაიონში** გაიზარდა **180.279-დან 272.287 სულამდე.**

ნამატის შენარჩუნებაში წინ მიდიან **კოლმეურნეობები.** 15 აპრილისათვის საკოლმეურნეო ფერმებში 26.775 ცხვრიდან დადოლებული იყო 25.000 ცხვარი (გეგმის 90,4 პროც.) და შენარჩუნებული იყო 24.230 ბატკანი. გაბერწებისა და ბატკნის სიკვდილიანობის შემთხვევები ერთად. უდრის კოლმეურნეობებში 2,4 პროცენტს, ერთპიროვნულ მეურნეობებში კი 2,8 პროცენტს.

როგორ მიაღწია ქვემო-მაჩხაანის სასოფლო საბჭომ ამ მიღწევებს?

აი როგორ: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ფ. კაჭრიშვილმა** პირველ რიგში დოლისათვის მზადების დროს ფართოდ გაიცნო, მიწსახკომის და „კომუნისტი“-ს მიერ საუკეთესო მწყემსებზე გამოცხადებული კონკურსის პირობები მეცხვარე კოლმეურნეებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს, რის საფუძველზედაც გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ კონკურსის პირობების წარმატებით შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ზემო-მაჩხაანის ამხ. სტალინის სახ. კოლმეურნეობა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებენ აგრეთვე ინდივიდუალური მეცხვარეობის ჯგუფური გაერთიანის მწყემსები ლ. შაშიაშვილი, გ. ნატროშვილი, შ. ცირიკაშვილი, ა. შანშაშვილი, ივ. შანშაშვილი, ს. შიუკაშვილი, პ. ვარდიაშვილი და სხვ. მწყემს ლ. შანშაშვილს, რომელიც კონკურსის პირობების გაცნობასთან დაკავშირებით ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავი დამკვრელად გამოაცხადა, **არ გაბერწებია არც ერთი ცხვარი, არ მოკვდომია არც ერთი მოზრდილი ცხვარი და ბატკანი.** დოლის დაწყებიდან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ფ. კაჭრიშვილმა პირადათ შეამოწმა თითეული ფარები, თუ რამდენად მზად იყვნენ ისინი დოლის შესახვედრად.

სოფ. ქვემო-მაჩხაანის სასოფლო საბჭოსთან ერთად, ცხვრის ნამატის შენარჩუნების **მაღალ** მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე სოფ. მირზაანის (შეინარჩუნეს მოგებული ბატკნის 97,5 პროც.) წითელ-წყაროს (97,6 პროც.) არმოშკის (97,5 პროც.) და ტიბაანის (შენარჩუნებული იქნა ნამატის 97,2 პროც.).

არიან ჩამორჩენილებიც, რომლებიც უხეიროთ მუშაობენ. აი მაგალითად: სოფ. ჯუგაანის საკოლმეურნეო ფერმებში ცხვრის გაბერწებისა და ბატკნის სიკვდილიანობის შემთხვევები 13,9 პროცენტს აღწევს. ამ ფერმებში ცხვრის ნამატის შენარჩუნების პროცენტი 86,1-ს უდრის. სოფ. მაღაროში 15,1 პროცენტს, ეს იმ დროს, როცა სოფ. ულიანოვკაში ერთპიროვნულ მეურნეობებში არ ჰქონია ადგილი გაბერწებისა და ბატკნის სიკვდილის არცერთ შემთხვევას, ხოლო ქედის სასოფლო საბჭოში იგი არ აღემატება 1 პროცენტს.

საბჭოთა მეურნეობები მოწინავეთა რიგებში

სიღნაღის რაიონში მეცხვარეობის 3 დიდი საბჭოთა მეურნეობაა. **ელდარი** — 29.785 დედა-ცხვარით, **ალაზანი** — 4.250 დედა-ცხვრით და **სიღნაღის** რაიაიმასკომის საბჭოთა მეურნეობა 11.155 დედა-ცხვრით. გასული წელს აღნიშნულ მეურნეობებში ადგილი ჰქონდა ნამატის შენარჩუნების გეგმების შესრულებაში მნიშვნელოვან ჩამორჩენას. მიმდინარე წელს კი ეს მდგომარეობა რადიკალურად იცვლება და უკვე მიღწეულია მნიშვნელოვანი გარდატეხა.

საბჭოთა მეურნეობებში 15 აპრილისათვის 45.417-დან დადოლებული იყო 40.180 ცხვარი, (გეგმის 86,7 პროც.), მოგებული ბატკნებიდან კი შენარჩუნებული იყო 39.403 ბატკანი. დედა-ცხვრის გაბერწებისა და მშ

საბჭოთა მწერლობა სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის კადრები თავიანთ ძირითად ნაწილში უკვე მობრუნდენ პროლეტარიატის საბრძოლო ამოცანებისაკენ

მხატვრული ლიტერატურა ოქტომბრის მანძილზე

ორი წელი, რომელიც გავიდა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ისტორიული დადგენილებიდან, ხასიათდება მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე მომუშავე კომუნისტური ძალების კონსოლიდაციით, საბჭოთა ლიტერატურის სერიოზულ შემოქმედებითი წარმატებებით, მისი კადრების რაოდენობითი და ხარისხობრივი ზრდით, ახალი ძალების წამოწევით მუშათა და კოლმეურნეთა წრიდან.

საბჭოთა ლიტერატურის წამყვან ძალას დღეს უკვე წარმოადგენს პროლეტარული მწერლობა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაწარმოებები ნათლად ადასტურებენ ამ გარემოებას. პროლეტარული მწერლები მტკიცე ნაბიჯებით ადიან მხატვრული ლიტერატურის მაღალ მწვერვალებზე. მათი შემოქმედების თემატიკაა — ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, ახალი ადამიანის პრობლემა, წარსული რევოლუციური ბრძოლები და სხვა.

რა კონკრეტული მონაცემებიდ ხასიათდება ქართული ლიტერატურა ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში?

კ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ არის **რომანი** კლასობრივ ბრძოლის შესახებ საბჭოთა სოფელში. რომანის ძირითად შინაარს წარმოადგენს გლეხთა მასების მოძრაობა სოციალიზმისაკენ, ძველი კერძო-მესაკუთრეობითი ცხოვრების წესებისაგან თავის დაღწევა და გადასვლა ახალ საწარმოო ურთიერთობაზე. ამ **რომანის ღირსება** მ. გომიაშვილი იმაში, რომ იგი იძლევა შეუფერავ სინამდვილეს, კლასობრივი ბრძოლის რეალურ სახეებს.

საკოლმეურნეო მშენებლობას ეხება **ე. პილუმორდვინოვიც** თავის ახალ **რომანში** „მთები ინგრევიან“. ამ ნაწარმოებში მოქმედება იწყება აჭარისტანის სოფლის ფონზე. ასეთივე თემატიურ ხასიათს ატარებს **ს. თარხნიშვილის** **რომანი** „გადასასვლელი“.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებულ პატივისცემაშია წარსული რევოლუციური ბრძოლების მხატვრული გამოხატულება. ამ თემას ეტანებიან **პროლეტარული** და საბჭოთა მწერლებიც. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პროლეტარულ მწერლებმა ამ თემაზე გამოაქვეყნეს მთელი რიგი ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებებიდან ყურადღებას იქცევს **პ. ჩხეიძის** „ბაბიჯები“ და **პ. შ. საყვარელიძის** „ქვა და რკინა“ და „უკანასკნელი გადასარბენი“.

პ. შ. საყვარელიძის **რომანების** თემატიური არე მეტად დიდია. მწერალი გვიჩვენებს 1905 წლის რევოლუციის მომზადების, მისი განვითარების და დამარცხების პერიოდს. პ. შ. საყვარელიძის **რომანებში** ბოლშევიკური თავლთახვეული მოცემულია სწორთლე ჩვენი წარსული ცხოვრების შესახებ.

პ. ჩხეიძე თავის ტრილოგიის გამოქვეყნებულ პირველ ნაწილში — „ნაბიჯები“ ფართედ შლის პირველი რევოლუციის და განსაკუთრებით მის მომდევნო პერიოდის მხატვრულ სახეებს, მაგრამ აქ იგი არ ეხება საერთოდ, მთლიანად მთელ რევოლუციას, არამედ იღებს განსაზღვრულ ეპიზოდებს ამ ბრძოლებისა. პ. ჩხეიძეს **რომანში** დაცული აქვს ერთგვარი ლოკალობის პრინციპი, რაც თანამედროვეობის ძიებაში ხელს უწყობს მწერალს სინამდვილის სურათის ფართედ გაშლას. ამ მხრივ საინტერესოა **ს. ჩიქოვანის** ლექსები, **ს. კლდიაშვილის** მოთხრობები, **გ. ლეონიძის** ლექსები, **ა. ქუთათელის** „პირისპირ“ და სხვ..

არ იქნება არ აღინიშნოს, რომ ჩვენშიაც საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება ზოგიერთმა მწერალმა გაიგო, როგორც ამნისტია „წმინდა“, „უიდეო“ ხელოვნებისადმი. აქედან დაიწყო ბურჟუაზიულ „სიძველის“ აღდგენისა. ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებში კიდევ მოსჩანს ძველი დეკადენტურ-ბოგემური განწყობილებები (**ტ. ტაბიძე; „აპრილი ორატორიაში“, „ანანურთან“, ვ. გაფრინდაშვილი: „საოპერო თეატრის ქანდარიდან“, „ბუკინისტი“, „წყნეთის გზაზე“, პ. იაშვილი: „ლირიკული გაზაფხული საქართველოში“** და სხვ..

ტიპიურ ბურჟუაზიულ შეხედულებების „შემოპარებას“ სხვა ხაზითაც ცდილობდენ. ზოგიერთი მწერალი აყენებდა „თეორიას“ იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არ აქვს გასავალი ხელოვნებას, რომ არ შეიძლება ერთად მოთავსდეს ხელოვნება და სოციალიზმი, რომ ლირიკული ხმა თანდათან სუსტდება და იკარგება რევოლუციის გრანდიოზულ განძანებაში და სხვ., ასეთი მოსაზრება პრეტურ ფორმებში გამოხატა **ა. აბაშელმა** („ლირიკოსი და მებაღე“). ეს ყოვლად შემცდარი და მიუღებელი **უკანასკნელ** ხანებში ერთგვარ ძიების პროცესს ამჟღავნებს **კ. გამსახურდიაც.** ამ მდგომარეობის გამოხატულებას წარმოადგენს მისი „უკრაინის თემიდი“. ამ ძიებით გამსახურდია ჯერჯერობით მაინც ვერ დაბრუნდა თავის წარსულს.

23 აპრილის დადგენილების შემდეგ ჩვენი ლიტერატურის ფრონტზე ადგილი ჰქონდა კლასობრივ მტრების გამოლაშქრებას კონკრეტულ მაგალითებსაც. ამ მხრით დამახასიათებელია **რობაქიძის** „ევოლუცია“, კარგა ხანია, რაც რობაქიძე მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკის მიერ აღიარებული იყო, როგორც ტიპიური ბურჟუაზიული მწერალი. მაგრამ ის ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ დაეფარა თავისი ნამდვილი სახე. უკანასკნელად კი მან ჩამოიხადა ნიღაბი და მთელი სისრულით გამოამჟღავნა თავისი თავი, როგორც კლასობრივმა მტერმა.

ლიტერატურის ფრონტზე მუშაობის ძირითად შინაარს დღეს წარმოადგენს ბრძოლა ლიტერატურის მაღალ, იდეურად და მხატვრულად გამართულ ხარისხისათვის. უნდა ითქვას, რომ ჩვენში ეს ბრძოლა ჯერჯერობით საერთოდ სუსტად მიმდინარეობს.

საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები მნიშვნელოვანია კიდევ იმით, რომ მის ნაგებს შეემატა ახალი შემოქმედებითი ძალები მწრომელთა წრიდან (ზ. დოლიაშვილი, აბაშიძე და სხვა.,)

ხანი უნდა გაუსვას სოციალისტური მშენებლობის **ამოცანებისაგან** თანამედროვე **საბჭოთა** ლიტერატურის, ჩამორჩენის ლიკვიდაციის აუცილებლობას. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ლიტერატურა, რომელიც გაუსწორდება სოციალიზმის მშენებლობის დიდი ეპოქის იდეებს, მის მაშტაბს, ბრძოლა ხარისხისათვის, ოსტატობისათვის, ბრძოლა ძველ კულტურისათვის, მაღალი იდეურობისათვის, ეს ის მთავარი ამოცანებია, რომელთა გადაწყვეტაზე მუშაობს დღეს საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე ძალები.

ჩვენი პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლიტერატურის, ხელოვნების ფრონტს. ეს ბუნებრივიც არის. საბჭოთა ლიტერატურა ერთერთი ძლიერი იარაღთაგანია ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად. ჯერ კიდევ ლენინი რევოლუციურ ლიტერატურას სთვლიდა საერთო პროლეტარული საქმის „ნაწილად“. ლენინის ეს დებულება განსაკუთრებით გვავალებს, ჩვენი ლიტერატურა განვითარების მიმდინარე ეტაპზე მოვლინ სამუშაოდ წინააღმდეგ ოპორტუნიზმის, ნაციონალიზმის, ტროცკიზმის, ბუხარინის ანტილენინური ელემენტების, ანტისაბჭოთა ელემენტების, ანტისაბჭოთა ელემენტების, ანტისაბჭოთა

იაპონიის მთავრობის დეკლარაციამ

უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ამერიკაში

არაკის მემკვიდრეები განაგრძობენ ლაპარაკს ზარბაზნების და ხიშტების ენით

ნიუ-იორკი, 20 აპრილი. ამერიკის გაზეთები იეტად მკვახე კომენტარიებს უკეთებენ იაპონიის დეკლარაციას. როგორც შეიტყობა იაპონიის პოლიტიკას ჩინეთის მიმართ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, **ია პონის შეხედულებანი და პოზიციები იმ საკითხებში, რომლებიც ჩინეთს ეხება. შეიძლება არ ეღიმოსვენ უცხოეთის სახელმწიფოების შეხედულებებს და პოზიციას.**

საქმეროა შევიგნოთ, რომ იაპონია მთლო დებულია ყოველგვარი ზომები მიიღოს თავისი მისიის განსახორციელებლად აღმოსავლეთ აზიაში. იაპონია იძულებული გახდა დაეტოვებია ერთა ლიგა იმის გამო, რომ ძან ვერ შეეღო შეეთანხმებია შეხედულებანი აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობიანობის შენარჩუნების ფუნდამენტალურ პრინციპებზე.

„თავისთავად ცხადია,—ნათქვამია ცნობაში,—იაპონია მუდამ მიისწრაფვის შეინარჩუნოს და განავითაროს მეგობრული ურთიერთობანი სხვა ერებთან. მაგრამ ამავე დროს ჩვენ პუნქტრივად მიგვაჩნია, რომ აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობიანობის და წესრიგის დაცვის მიზნით, **ჩვენ უნდა ვიძიო ზომები მარტოდაც კ.** ჩინეთის უნიფიკაცია, მისი ტერიტორიალური ხელუხლებლობის შენარჩუნება და წესრიგის აღდგენა ჩინეთში—ია, ის, რაც იაპონიას მხურვალედ სურს. ყოველივე ეს არ შეიძლება მიღწეულ იქნას სხვანაირად, თუ არა თვით ჩინეთის გამოფხიზლების და ნებაყოფლობითი კონსოლიდაციათა გზით. ამიტომ ჩვენ უარვყოფთ ჩინეთის მხრივ ყოველგვარ ცდას გამოიყენოს რომელიმე სხვა ქვეყნის გავლენა **იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს იაპონიას.** ჩვენ ვგრძნობთ უარყოფთ ჩინეთის ყოველგვარ მოქმედებას, რაც მიმართულია იქითკენ, რომ ააშენებინოს ერთი სახელმწიფო მეორის წინააღმდეგ. ყოველ-

იაპონიის ინტერვენტების „ღრუღული დინგი“

შანხაი, 21 აპრილი. „იენშინგ პოსტის“ სტატიით, **ხუან-ფუს** (ჩრდილოეთ-ჩინეთის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე) ბეიპინიდან გამგზავრების წინ. იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენელმა აცნობა მას, რომ იაპონიის მიერ ჩახარის და სუიუანის პროვინციების, აგრეთვე ბეიპინის და ტიანძინის ოკუპაცია აბსოლუტურად აუცილებელია საბჭოთა ფრონტის წინააღმდეგ ომის მოსამზადებლად. ნანკინის მთავრობის „პრესტიჟის დაცვის მიზნით, იაპონიის ხელისუფლება მაღ არის გამართოს მასთან მოლაპარაკება ჩრდილოეთ ჩინეთში ნანკინის ნომინალური იურისდიქციის შესახებ. თუ ჩინეთი შოლაპარაკებაზე უარს იტყვის, იაპონია მოახდენს ბეიპინის რაიონის ოკუპაციას (ადს).

საიტო აპირებს ნაბიჯების გადადგმას

ტოკიო, 21 აპრილი. როგორც სიმბუნ რენგო იუწყება, ვაშინგტონიდან, იაპონიის ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში საიტოს განზრახული აქვს გადასცეს **ხელს** სრული ტექსტი იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებისა ჩინეთის შესახებ. ასევე ცნობილია, რომ „განცხადება არ შეიცავს პრეტენზიას ამერიკის მიერ ჩინეთისათვის „თვითმფრინავების შეწყვეტის და ინსტრუქტორების გაგზავნის წინააღმდეგ“ (ადს).

დეკლარაცია იწვევს იაპონიის ვერაგულ ზრახვებს

ლონდონი, 20 აპრილი ჩინეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ ლონდონში გამოაქვეყნა განცხადება **„იაპონიის დეკლარაციის“**—ნათქვამია განცხადებაში,— **ნათლად ამყარებს იაპონიის გეგმებს ჩინეთის მიმართ და აიძულებს ჩინეთის მთავრობას ურთიერთობაში სხვა ერებთან მიიღოს ახალი პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება ხელშეკრულებებით ჩინეთისათვის და ძალიან სერიოზულ გავლენას მოახდენს იაპონიასა და აღმოსავლეთ აზიის შორის ურთიერთობაზე. ამიტომ იაპონიის დეკლარაციას უნდა გაეცალკევებინა ასეთი მოქმედებათა წინააღმდეგ, თუმცა მას საერთო არ მიაჩნია ჩვენთვის იმ მოლაპარაკებაში, რომელსაც უკვითონის ინდივიდუალურად აწარმოებს ჩინეთთან ფინანსიურ ან სავაჭრო საკითხებზე, სანამ ეს მოლაპარაკება ხელშეწყობს ჩინეთის ინტერესებს და არ ეწინააღმდეგება ჩინეთის ტერიტორიალურ ხელშეუხებლობის პრინციპებს.**

მაგრამ ამბობენ თვითმფრინავების მიწოდება ჩინეთისათვის და აეროდრომების აგება ჩინეთში, სამხედრო ინსტრუქტორების და სპეციალისტების გაგზავნა ჩინეთში აგრეთვე სესხების მიცემა პოლიტიკური მიზნებისათვის ფონდების შესაქმნელად. ალბად მომართული იყო იმისკენ, რომ შეეფასა მეგობრული ურთიერთობა ჩინეთსა და იაპონიას შორის და ახლა ქვეყნებს შორის და დაეღვიათ მშვიდობიანობა და წესრიგი აღმოსავლეთ აზიაში.

იაპონია ვერ დაეთანხმება ასეთ პროექტებს.

„პროტექტორატი“ მოქმედებაში

ბეერლინი, 21 აპრილი. („პრავდის“ სპეც. კორ.) „ბერლინერ ტაგებლატის“ მიერ ტოკიოდან მიღებული ცნობით, იაპონიის მთავრობა მომავალი კვირის დამდეგს მოსთხოვს ნანკინის მთავრობას შორეულ აღმოსავლეთში და წყნარ ოკეანეზე. ახლა იაპონია კლი ლობს დაარეგიონს ეს წონასწორობა და **გადაქცეოს თავისი თავი ერთადერთ უზენაეს, გაბატონებულ, ყოვლისშემძლე სახელმწიფოდ აღმოსავლეთ აზიაში“.**

„ნიუ-იორკ ივნინგი“ ტოკიოს დეკლარაციას უწოდებს ერთადერთ თავისებურ დოკუმენტს თავის „მოურიდებელი თავხედობით“. „არაკი გადადგა,—წერს გაზეთი,—**მა გრამ მისი მემკვიდრეები განაგრძობენ ლაპარაკს ზარბაზნების და ხიშტების ენით. ხირატამ შეიდობისმოყვარული წერილი გამოგზავნა ვაშინგტონში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იაპონიის პოლიტიკის შესახებ გამოქვეყნებული დეკლარაციის შედეგად ხელი** ფიქრობთ, რომ იაპონიის პოლიტიკის შესახებ გამოქვეყნებული დეკლარაციის შედეგად **ხელი** ბოიოთხოვს კეთილი სურვილების უფრო დამაჯერებელ განხორციელებას“ (ადს).

*) დეკლარაციის ტექსტი იხ. ქვემოდ.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს უტიფარი დეკლარაცია

ტოკიო, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ჩინეთთან ურთიერთობაში იაპონიის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, **ია პონის შეხედულებანი და პოზიციები იმ საკითხებში, რომლებიც ჩინეთს ეხება. შეიძლება არ ეღიმოსვენ უცხოეთის სახელმწიფოების შეხედულებებს და პოზიციას.**

საქმეროა შევიგნოთ, რომ იაპონია მთლო დებულია ყოველგვარი ზომები მიიღოს თავისი მისიის განსახორციელებლად აღმოსავლეთ აზიაში. იაპონია იძულებული გახდა დაეტოვებია ერთა ლიგა იმის გამო, რომ ძან ვერ შეეღო შეეთანხმებია შეხედულებანი აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობიანობის შენარჩუნების ფუნდამენტალურ პრინციპებზე.

„თავისთავად ცხადია,—ნათქვამია ცნობაში,—იაპონია მუდამ მისწრაფვის შეინარჩუნოს და განავითაროს მეგობრული ურთიერთობანი სხვა ერებთან. მაგრამ ამავე დროს ჩვენ პუნქტრივად მიგვაჩნია, რომ აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობიანობის და წესრიგის დაცვის მიზნით, **ჩვენ უნდა ვიძიო ზომები მარტოდაც კ.** ჩინეთის უნიფიკაცია, მისი ტერიტორიალური ხელუხლებლობის შენარჩუნება და წესრიგის აღდგენა ჩინეთში—ია, ის, რაც იაპონიას მხურვალედ სურს. ყოველივე ეს არ შეიძლება მიღწეულ იქნას სხვანაირად, თუ არა თვით ჩინეთის გამოფხიზლების და ნებაყოფლობითი კონსოლიდაციათა გზით. ამიტომ ჩვენ უარვყოფთ ჩინეთის მხრივ ყოველგვარ ცდას გამოიყენოს რომელიმე სხვა ქვეყნის გავლენა **იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს იაპონიას,** ჩვენ ვგრძნობთ უარყოფთ ჩინეთის ყოველგვარ მოქმედებას, რაც მიმართულია იქითკენ, რომ ააშენებინოს ერთი სახელმწიფო მეორის წინააღმდეგ. ყოველგვარი ასეთი ცდა ჩინეთის მხრივ, ვინც არ უნდა ჩადიოდეს მას, ვერ შეიძლება ხელი შეუწყოს ჩინეთის ეროვნული ერთიანობის განმტკიცებ